

# რატომ უნდა მივმართოთ ნოტარიუსს?






საქართველოს ნოტარიუსთა პალატა



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნოტარიუსი

- ახორციელებს სახელმწიფოს მიერ მისთვის დელეგირებულ საჯარო უფლებამოსილებას;
- პასუხისმგებლობას იღებს სამსახურებრივ საქმიანობაზე;
- ასრულებს 50-ზე მეტი სახის სანოტარო მოქმედებას და დოკუმენტს ამოწმებს სანოტარო წესით;
- სანოტარო წესით დამოწმებულ აქტს აქვს უდავო მტკიცებულების ძალა.



# სანოტარო წესით დამოწმების უპირატესობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

- თანაბრად იცავს ყველა მხარის ინტერესს;
- ითვალისწინებს და გამორიცხავს ყველა შესაძლო საფრთხეს;
- გაძლევთ მიუკერძოებელ და კომპეტენტურ რჩევებს;
- გაფრთხილებთ მოსალოდნელი რისკების შესახებ;
- ნოტარიუსის პროფესიულ პასუხისმგებლობასა და, შესაბამისად, თქვენს უსაფრთხოებას დამატებით აზღვევს სადაზღვევო კომპანია;

შედეგად: სანოტარო წესით დამოწმება დოკუმენტის სრული სანდოობის გარანტიაა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## მომსახურება სწრაფად, მარტივად და კომფორტულად

- სანოტარო მოქმედებათა ელექტრონული ბაზა, ონლაინსერვისები, უახლესი ტექნოლოგიები - გამარტივებული და სწრაფი სანოტარო მომსახურება;
- ნოტარიუსთა პროფესიონალიზმისა და კვალიფიკაციის პერმანენტულად ამაღლება - ხარისხიანი სანოტარო მომსახურება;
- სერვისის მიღება ბიუროს გარეთ, ტერიტორიული და დროში შეზღუდვის გარეშე - კომფორტული სანოტარო მომსახურება.

## ძირითადი სანოტარო სერვისები

- რწმუნებულების/მინდობილობის დამოწმება;
- ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება;
- დოკუმენტის ასლის დამოწმება;
- დოკუმენტის თარგმანის დამოწმება;
- დოკუმენტის თარგმანზე თარჯიმნის ხელმოწერის დამოწმება;
- სამკვიდროს მიღების/სამკვიდრო მოწმობის გაცემის შესახებ განცხადების დამოწმება;
- სამკვიდრო მოწმობის გაცემა;
- სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის შესახებ განცხადების დამოწმება;
- სამკვიდროს მმართველის დანიშვნა;
- ანდერძის დამოწმება;
- გარიგებაზე ხელმოწერის დამოწმება;
- გარიგებების (იპოთეკის, ნასყიდობის, გირავნობის, სესხის, ქირავნობის, იჯარის, ვალის აღიარების, ჩუქების, სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებები) დამოწმება.

# ძირითადი სანოტარო სერვისები



ეროვნული ბიბლიოთეკა

- საქორწინო ხელშეკრულების დამოწმება;
- სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიული პირების სადამფუძნებლო დოკუმენტაციის დამოწმება;
- სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიული პირების, ამხანაგობების, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების დამფუძნებელ და მმართველ ორგანოთა კრების ოქმების დამოწმება;
- ფულის, ფასიანი ქაღალდების დეპოზიტში მიღება;
- პირის იგივეობის დადასტურება ფოტოსურათზე გამოსახულ პირთან;
- პირის ცოცხლად ყოფნის ფაქტის დადასტურება;
- საზღვაო პროტესტი;
- სანოტარო არქივში დაცული დოკუმენტის ასლის ან ამონაწერის გაცემა;
- სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის შესახებ დადგენილების გაცემა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ხშირად გამოყენებადი სანოტარო სერვისები

- ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება;
- დოკუმენტის ასლის დამოწმება;
- დოკუმენტის თარგმანის დამოწმება;
- რწმუნებულების/მინდობილობის დამოწმება.

## ექსკლუზიური სანოტარო სერვისები

სამკვიდრო მოწმობას გასცემს მხოლოდ ნოტარიუსი;

მემკვიდრეობით დანატოვარი ქონების მესაკუთრე ვერ გახდებით, თუ არ გაქვთ სამკვიდრო მოწმობა;

სამკვიდრო მოწმობის მისაღებად მემკვიდრეებმა უნდა მიაკითხონ საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ ნებისმიერ ნოტარიუსს მამკვიდრებლის (ქონების მესაკუთრის) გარდაცვალების დღიდან ექვსი თვის განმავლობაში და წარადგინონ განცხადება სამკვიდროს მიღების შესახებ;

სამკვიდრო მოწმობა გაიცემა ექვსი თვის გასვლის შემდეგ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ექსკლუზიური სანოტარო სერვისები

- **საქორწინო ხელშეკრულება მოწმდება სანოტარო წესით;**
- ხელშეკრულებით განისაზღვრება მეუღლეებს შორის ქონებრივი უფლებები და მოვალეობები როგორც ქორწინების განმავლობაში, ისე განქორწინებისას;
- თანაბრად არის გათვალისწინებული თითოეული მეუღლის უფლება და სურვილი;
- გამორიცხულია ისეთი პირობების ჩადება, რაც მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებს ერთ-ერთ მეუღლეს;
- **სანოტარო წესით დამოწმებული საქორწინო ხელშეკრულება** მარტივი და ცივილიზებული ფორმაა ქორწინების შეწყვეტის შემთხვევაში მეუღლეთა შორის ქონებაზე დავის მოსაგვარებლად.



# სანოტარო სერვისი თქვენი ქონების დასაცავად

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარიგება - იპოთეკის, ნასყიდობის, გირავნობის, სესხის, ქირავნობის, იჯარის, ვალის აღიარების, ჩუქების, სამისდღეშიო რჩენის... ხელშეკრულება;

გარიგების სანოტარო წესით გაფორმება ნიშნავს დაცულ ქონებასა და უფლებებს.

ნოტარიუსი, გარიგების დამოწმებისას, ვალდებულია:

- განუმარტოს მონაწილე მხარეებს მათი უფლებები და მოვალეობები;
- ხელშეკრულებაზე ხელის მოწერამდე, წაუკითხოს და განუმარტოს გარიგების მხარეებს ხელშეკრულების შინაარსი და დარწმუნდეს მხარეთა ნების გამოვლენის ნამდვილობაში;
- გააფრთხილოს ისინი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოსალოდნელი შედეგებისა და რისკების შესახებ.

სანოტარო ბიუროდან გაუსვლელად შესაძლებელია როგორც სანოტარო, ასევე, არასანოტარო მომსახურების მიღება. ნოტარიუსი მოქალაქის ნაცვლად უზრუნველყოფს ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაციას და მას აღარ უწევს იუსტიციის სახლსა თუ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში წასვლა.

*დაამოწმე გარიგება ნოტარიუსთან და იქნები დაცული.*

# სანოტარო სერვისი თქვენი ქონების დასაცავად



2014 წლის 28 იანვრიდან ამოქმედებული საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე, ე.წ. კერძო მევახშის მიერ გაცემული იპოთეკით უზრუნველყოფილი სესხის ხელშეკრულება მხოლოდ სანოტარო წესით უნდა გაფორმდეს და საპროცენტო განაკვეთი არ უნდა აღემატებოდეს საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე ყოველთვიურად გამოქვეყნებული კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების საბაზრო საპროცენტო განაკვეთების წინა კალენდარული წლის საშუალო არითმეტიკულის 2,5-მაგი ოდენობის მეთორმეტედს, რაც ძალაშია ყოველი წლის პირველი მარტიდან. დანარჩენი ტიპის იპოთეკით უზრუნველყოფილი სესხის ხელშეკრულებებიც, სასურველია, ნოტარიუსის მიერ დამოწმდეს, რადგან პოთეკის ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმება:

- მოქალაქეებს იცავს მოსალოდნელი რისკებისგან;
- არ არის დაკავშირებული დიდ ხარჯებთან. კანონმდებლობის თანახმად, ფიზიკური პირებისთვის სანოტარო მომსახურების საზღაური არ უნდა აღემატებოდეს 500 ლარს, ხოლო სამეწარმეო იურიდიული პირებისთვის - 10 000 ლარს;
- მოქალაქე სანოტარო ბიუროდან გაუსვლელად იღებს როგორც სანოტარო, ისე არასანოტარო (ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია) მომსახურებას.

დაამოწმე იპოთეკის ხელშეკრულება ნოტარიუსთან და იყავი დაცული რისკისგან.

# სანოტარო სერვისი თქვენი ქონების დასაცავად

ეროვნული ბიბლიოთეკა



- ნოტარიუსის პროფესიული საქმიანობა დაზღვეულია;
- ნოტარიუსის მიერ გაუფრთხილებლად, ან განზრახ მიყენებულ ზიანს ანაზღურებს სადაზღვევო კომპანია;
- პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა - უსაფრთხოების გარანტი მოქალაქეებისთვის.

ანდე ნოტარიუსს საკუთარი ქონება და იგრძენი თავი უსაფრთხოდ.

# სანოტარო სერვისი თქვენი ქონების დასაცავად



2014 წლის 28 იანვრიდან ამოქმედებული საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე, ე.წ. კერძო მევახშის მიერ გაცემული იპოთეკით უზრუნველყოფილი სესხის ხელშეკრულება მხოლოდ სანოტარო წესით უნდა გაფორმდეს და საპროცენტო განაკვეთი არ უნდა აღემატებოდეს საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე ყოველთვიურად გამოქვეყნებული კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების საბაზრო საპროცენტო განაკვეთების წინა კალენდარული წლის საშუალო არითმეტიკულის 2,5-მაგი ოდენობის მეთორმეტედს, რაც ძალაშია ყოველი წლის პირველი მარტიდან. დანარჩენი ტიპის იპოთეკით უზრუნველყოფილი სესხის ხელშეკრულებებიც, სასურველია, ნოტარიუსის მიერ დამოწმდეს, რადგან პოთეკის ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმება:

- მოქალაქეებს იცავს მოსალოდნელი რისკებისგან;
- არ არის დაკავშირებული დიდ ხარჯებთან. კანონმდებლობის თანახმად, ფიზიკური პირებისთვის სანოტარო მომსახურების საზღაური არ უნდა აღემატებოდეს 500 ლარს, ხოლო სამეწარმეო იურიდიული პირებისთვის - 10 000 ლარს;
- მოქალაქე სანოტარო ბიუროდან გაუსვლელად იღებს როგორც სანოტარო, ისე არასანოტარო (ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია) მომსახურებას.

დაამოწმე იპოთეკის ხელშეკრულება ნოტარიუსთან და იყავი დაცული რისკისგან.

# სანოტარო სერვისი თქვენი ქონების დასაცავად

ეროვნული ბიბლიოთეკა



- ნოტარიუსის პროფესიული საქმიანობა დაზღვეულია;
- ნოტარიუსის მიერ გაუფრთხილებლად, ან განზრახ მიყენებულ ზიანს ანაზღაურებს სადაზღვევო კომპანია;
- პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა - უსაფრთხოების გარანტი მოქალაქეებისთვის.

ანდე ნოტარიუსს საკუთარი ქონება და იგრძენი თავი უსაფრთხოდ.




ეროვნული ბიბლიოთეკა

- საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც სანოტარო მოქმედება ინტერნეტის მეშვეობით სრულდება;
- საქართველოს მოქალაქეს, ან საქართველოს ბინადრობის მოწმობის მქონე პირს შეუძლია, ონლაინში დაამოწმოს განცხადება, თანხმობა, მინდობილობა/რწმუნებულება ონლაინში მსოფლიოს ნებისმიერი ადგილიდან;
- 2010 წელს ინტერნეტის მეშვეობით 6 390 სანოტარო აქტი დამოწმდა; 2011 წელს - 25 633; 2012 წელს - 32 674; 2013 წელს - 39 401; 2014 წელს - 16 035 სანოტარო აქტი.



**ონლაინ რეჟიმში** მოწმდება სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიული პირების, ამხანაგობების, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების დამფუძნებელ და მმართველ ორგანოთა კრების ოქმები.
როცა ორგანიზაციის რომელიმე პარტნიორი ვერ ახერხებს კრებაზე დასწრებას, მას შეუძლია, ინტერნეტის მეშვეობით მიიღოს კრების მსვლელობაში მონაწილეობა. ნოტარიუსი აღნიშნული პირის იდენტიფიცირების შემდეგ ადგენს და ამოწმებს კრების ოქმს.



**ინტერნეტის მეშვეობით შესაძლებელია ნოტარიუსთან ვიზიტის დაჯავშნაც.**
**ნოტარიუსთა პალატის ვებგვერდებზე განთავსებულია ბანერი „დაგეგმე ვიზიტი ნოტარიუსთან“. აღნიშნული ბანერის მეშვეობით მოქალაქე შედის სპეციალურ პროგრამაში (სადაც მითითებულია საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ყველა ნოტარიუსის კოორდინატები) და მოიძიებს ნოტარიუსს.**
**აღარ გიწევთ ბიუროში რიგში დგომა, სანოტარო მომსახურებას იღებთ სწრაფად და კომფორტულად.**

## დაზოგე დრო და ხარჯი

ეროვნული ბიბლიოთეკა

- **სანოტარო მედიაცია** დავის მოგვარების ალტერნატიული, გამარტივებული ფორმაა. დავა წყდება სასამართლოო განხილვის გარეშე, მხოლოდ ნოტარიუსის დახმარებით;

- **ნოტარიუსი ასრულებს** მედიატორის ფუნქციას სამემკვიდრეო, საოჯახო, სამეზობლოო და სხვა ქონებრივი თუ არაქონებრივი ხასიათის სამოქალაქო დავებზე;

- **მოდავე მხარეებს** აღარ უწევთ სასამართლოში წასვლა, მიდიან ნებისმიერ მედიატორ ნოტარიუსთან და მისი დახმარებით შეთანხმებას აღწევენ.



# სანოტარო მედიაცია



- **დავის მოგვარების შემდგომ**, ნოტარიუსი ადგენს სანოტარო წესით დამოწმებულ დოკუმენტს მორიგების აქტს, რომლითაც განსაზღვრულია თითოეული მხარის ვალდებულებანი;
- **მედიაციის პროცესი** შესაძლებელია, ჩატარდეს როგორც სანოტარო ბიუროში, ისე მის გარეთ;
- სანოტარო მედიაციას **სერტიფიცირებული ნოტარიუსები** განახორციელებენ. მედიატორი ნოტარიუსების რეესტრი განთავსებულია საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებგვერდზე:

**www.notary.ge.**

# მოაგვარე დავა მარტივად

საქართველოს ნოტარიუსთა პალატა

ი 47/710

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საქართველო, თბილისი
წერეთლის გამზირი № 142
ტელ.: (+ 995 32) 2 20 67 77
ტელ/ფაქსი.: (+995 32) 2 94 20 04
ცხელი ხაზი.: (+995 32) 2 20 67 76

www.notary.ge